ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საფაკულტეტო კონფერენციაზე დოქტორანტების მონაწილეობის შესახებ

(ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება 19.12.2012)

1. კონფერენციაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათ მიერ კვლევითი და სასწავლო კომპონენტების შესრულების შესახებ.

2. I სემესტრის დოქტორანტი ვალდებულია დაიცვას მოხსენების შემდეგი სტრუქურა:
- ნაშრომის სავარაუდო დასახელება;
- სამეცნიერო კვლევის აქტუალობა და მისი დასაბუთება;
- არსებული გამოცდილების მიმოხილვა სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან მიმართებაში;
- კვლევის მიზანი და ამოცანები;
- კვლევის მეთოდიკა;
- სასწავლო და სამეცნიერო კომპონენეტების განხორციელების გეგმა–გრაფიკი;
- მოსალოდნელი შედეგები ფუნდამენტური და გამოყენებითი თვალსაზრისით;

3. II სემესტრის დოქტორანტი ვალდებულია დაიცვას მოხსენების შემდეგი სტრუქურა:
- ნაშრომის სავარაუდო დასახელება;
- სამეცნიერო კვლევის აქტუალობა და მისი დასაბუთება;
- ლიტერატურული მიმოხილვა;
- კვლევის მიზანი და ამოცანები;
- კვლევის მეთოდიკა;
- მიღებული სამეცნიერო შედეგები;
- სასწავლო და სამეცნიერო კომპონენეტების განხორციელების გეგმა–გრაფიკი;
- მოსალოდნელი შედეგები ფუნდამენტური და გამოყენებითი თვალსაზრისით;

4. III-IX სემესტრის დოქტორანტი ვალდებულია დაიცვას მოხსენების შემდეგი სტრუქურა:
- ნაშრომის დასახელება;
- სამეცნიერო კვლევის აქტუალობა და მისი დასაბუთება;
- ლიტერატურული მიმოხილვა;
- კვლევის მიზანი და ამოცანები;
- კვლევის მეთოდიკა;
- მიღებული სამეცნიერო შედეგები;
- გამოქვენებული ნაშრომები;
- გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები;
- მომზადებული ნაშრომების ჩამონათვალი;
- გეგმა–გრაფიკის შესაბამისად სასწავლო და სამეცნიერო კომპონენეტების შესრულების მდგომარეობა;

5. დოქტორანტს კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება შეიძლება ჩაეთვალოს სასწავლო ან კვლევით კომპონენტად და მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი თსუ დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში დოქტორანტმა კონფერენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურში წარმოადგინოს ნაბეჭდი ნაშრომი, რომელიც მოიცავს:

5.1.1. სატიტულო გვერდს და სარჩევს;

5.1.2. ლიტერატურულ მიმოხილვას;

5.1.3. კვლევის მიზანს და ამოცანებს;

5.1.4. კვლევის მეთოდიკას;

5.1.5. მიღებულ სამეცნიერო შედეგებს;

5.1.6. დასკვნებს;

5.1.7. გამოყენებულ ლიტერატურას.